საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/78 “ 17 ” ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ლ. ყოლბაიას ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ლევან ყოლბაია 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

ლევან ყოლბაიას ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 8 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ლევან ყოლბაიაზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35² მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ლევან ყოლბაიას აქვს სპეციალობით მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე იგი იყო სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურისტი.

ლევან ყოლბაია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-15 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლევან ყოლბაიამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ლევან ყოლბაიას გაესაუბრნენ 2021 წლის 4 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი ლევან ყოლბაია შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ლევან ყოლბაიას კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თორმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ლევან ყოლბაიას კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1019 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 84.92%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2021 წლის 17 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, ლევან ყოლბაიამ მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 5 კანდიდატი, მათგან 1 ყოფილი მოსამართლე და 4 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებია ეკატერინე - 0 ხმა
2. კაპანაძე თორნიკე - 0 ხმა
3. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
4. ყოლბაია ლევან - 11 ხმა
5. ჭილაია კოტე - 0 ხმა.

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატ ლევან ყოლბაიას კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა ლევან ყოლბაია.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი